პროლეტარიელ ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

# ლელო

№ 250 (3734)

1968 წ. 24 დეკემბერი. სამშაბათი.

ფასი 3 კაპ.

საქ. სსრ მინისტრთა საბჭოსთან არსებული ფიზიკური კულტურისა და სპორტის კომიტეტისა და პროფკავშირთა რესპუბლიკური საბჭოს ორგანო

ЛЕЛО Орган Комитета по физической культуре и спорту при Совете Министров ГССР и республиканского Совета профсоюзов

გამოცემის 25-ე წელი.



## ᲣᲙᲔᲗᲔᲡᲘ ᲜᲘᲨᲕᲐᲝᲑᲘᲗ...

**ᲛᲝᲡᲙᲝᲕᲘ, 22  დეკემბერი.** დღეს აქ დამთავრდა ხელბურთელ ქალთა საერთაშორისო ტურნირი. ბოლო ორი დღის შეხვედრები ასეთი შედეგებით აღინიშნა: IV ტური. უნგრეთი — პოლონეთი 11:7, სსრ კავშირი — ბულგარეთი 14:5, გდრ — რუმინეთი 12:8; V ტური. სსრ კავშირი — გდრ 7:7, უნგრეთი — ბულგარეთი 7:3, პოლონეთი — რუმინეთი 11:10.

ამრიგად, სსრ კავშირისა და გდრ-ის ხელბურთელებმა ქულების ერთნაირი რაოდენობა დააგროვეს, მაგრამ უპირატესობა საბჭოთა სპორტსმენებს მიენიჭათ ბურთების უკეთესი სხვაობის გამო.

* * *

**ᲡᲣᲠᲐᲗᲨᲔ: სსრ კავშირისა და რუმინეთის ნაკრები გუნდების მატჩის მომენტი.**

ფოტო ი. შალამოვისა.

### ᲒᲐᲗᲐᲛᲐᲨᲔᲑᲘᲡ ᲡᲐᲑᲝᲚᲝᲝ ᲪᲮᲠᲘᲚᲘ

| | თ. | მ. | ფ. | წ. | ბ. | ქ. |
|---|---|---|---|---|---|---|
| სსრ კავშირი | 5 | 4 | 1 | 0 | 67—36 | 9 |
| გდრ | 5 | 4 | 1 | 0 | 65—38 | 9 |
| უნგრეთი | 5 | 3 | 0 | 2 | 44—44 | 6 |
| პოლონეთი | 5 | 2 | 0 | 3 | 47—61 | 4 |
| რუმინეთი | 5 | 1 | 0 | 4 | 47—59 | 2 |
| ბულგარეთი | 5 | 0 | 0 | 5 | 34—66 | 0 |

## ᲓᲐᲠᲩᲐ 1 ᲢᲣᲠᲘ

**რიგა, 22 დეკემბერი.** სსრ კავშირის მოჭადრაკეთა გუნდური ჩემპიონატი დასასრულს უახლოვდება — ამ საინტერესო შეჯიბრებიდან ბოლომდე ერთი ტური დარჩა. ტურნირის ფინიშზე მწვავე ბრძოლა გაჩაღდა ორ ლიდერს — შეიარაღებულ ძალთა გუნდსა და „ბურევესტნიკს“ შორის. ახლა არმიელებს 69,5 ქულა აქვთ. ბოლოსწინა, X ტურში მათ დაამარცხეს ესტონეთის „იიუდი“ — 9:1.

უფრო მედგრად ეჭირათ თავი „მოლდოვის“ მოჭადრაკეებს მეორე ლიდერთან ბრძოლაში. პირველ დაფაზე მოთამაშე ახალგაზრდა ოსტატმა ი. მოსიონჟიკმა, რომელმაც დამაჯერებლად გაითამაშა სადებიუტო ნაწილი, დიდოსტატ ლ. პოლუგაევსკის რამდენიმე რთული ამოცანა დაუსახა. გადამწყვეტ მომენტში საქმეში ჩაერია ცაიტნოტი და სსრ კავშირის ჩემპიონმა მოახერხა მისთვის ხელსაყრელ ენდშპილში გადაეყვანა თამაში ზედმეტი პაიკით. დღეს, პარტიის დამთავრებისას, პოლუგაევსკიმ 1 ქულა შესძინა „ბურევესტნიკს“.

არანაკლებ რთული ბრძოლა გაჩაღდა ქალთა პირველ დაფაზე, სადაც მოსიონჟიკის მეუღლეს ბრონისლავას მსოფლიო ჩემპიონის ნ. გაფრინდაშვილის მწვავე იერიშის მოგერიება მოუხდა. მაინც ჩემპიონმა იმარჯვა — შეხვედრის ბედი აქაც მატერიალურმა უპირატესობამ გადაწყვიტა.

„ბურევესტნიკს“ დასამთავრებელი დარჩა 2 პარტია. ახლა მას 69 ქულა აქვს.

X ტურში ტალმა („დაუგავა“) დაამარცხა „ავალგირისის“ გუნდის ლიდერი მიკენასი, შამკოვიჩმა („ტრუდი“) — ზაიცევი („ლოკომოტივი“), კერესმა („კალევი“) კი ქულა გაიყო „ავანგარდის“ წარმომადგენელთან შტეინთან.

**რიგა, 23 დეკემბერი. გადადებული პარტიების დამთავრების შემდეგ „ბურევესტნიკს“ 71 ქულა გაუხდა. III ადგილზეა „სპარტაკი“ — 61,5.**

## ᲡᲐᲘᲛᲔᲓᲝ ᲪᲕᲚᲐ

როგორც წინა ნომერში ვიუწყებოდით, სსრ კავშირის თასი კრივში „დინამოს“ წარმომადგენლებმა მოიგეს. II ადგილზე გავიდნენ შეიარაღებული ძალების სპორტსმენები, რომლებმაც საპრიზო ადგილისთვის გადამწყვეტ ბრძოლაში ანგარიშით 6:5 აჯობეს პროფკავშირთა ნაკრებს.

— ეს ტურნირი, — განუცხადა საკდესის კორესპონდენტს სსრ კავშირის კრივის ფედერაციის პასუხისმგებელმა მდივანმა, საერთაშორისო კატეგორიის მსაჯმა გ. ზიბალოვმა, — ჩვენი საუკეთესო გუნდების საბრძოლო თვისებების საუცხოო შემოწმება გახლდათ. რინგზე ოლიმპიურ ჩემპიონთა გამოუსვლელობამ ვერ შეანელა ორთაბრძოლების სიმწვავე. თუნდაც ის ფაქტი, რომ ასპარეზობის ბოლო დღის წინ სამ გუნდს ქულათა თანაბარი რაოდენობა ჰქონდა, შეჯიბრების მონაწილეთა ძალების საოცარ თანაფარდობაზე მეტყველებს.

განსაკუთრებით სასიხარულოა, რომ თასისთვის მებრძოლი კოლექტივები უმთავრესად დაკომპლექტებული იყო ახალგაზრდა მოკრივეებით, რომლებიც არაფრით ჩამოუვარდებოდნენ ტყავის ხელთათმნის აღიარებულ ოსტატებს. ტაქტიკური სიმწიფისა და გამძლეობის ეს „გამოცდა“ ბევრმა ფრიადზე ჩაბარა. განსაკუთრებით აღსანიშნავი არიან არმიელთა გუნდის წევრი, 20 წლის ალმაათელი ე. კუზმინი (ქვესაშუალო წონა) და ყველაზე მსუბუქი წონის წარმომადგენელი, 21 წლის კიეველი ნ. ხანი („შრომითი რეზერვები“). ამ სპორტსმენებმა „გამსვლელი ქულა“ მოიპოვეს საბჭოთა კავშირის ახალგაზრდულ ნაკრებში, რომელიც ახლა ევროპის თასისთვის იბრძვის.

სტაბილური შედეგებით გვახარებს მოსკოველი არმიელი ა. მელნიკოვიც. მისი გამარჯვება ძალიან ტექნიკურ, საერთაშორისო შეხვედრებში გამობრძმედილ ვილნიუსელ ტ. ტომაშევიჩთან ბრძოლაში ერთხელ კიდევ ამტკიცებს, რომ მელნიკოვმა შემთხვევით როდი მოიპოვა წარმატება ნოემბერში „ბაბუა შტამის“ პოლონურ რაზმთან შეხვედრაში.

ლენინგრადის რინგის იუპიტერებმა „გამოამზეურეს“ მთელი რიგი სხვა საიმედო მოკრივეთა სახელებიც (სამწუხაროდ, მათ შორის მძიმეწონოსნებს ვერ ვხვდებით), რომლებიც სახელგანთქმული ვეტერანების ღირსეულ ცელად წარმოგვიდგებიან.

## ᲡᲐᲛᲬᲣᲮᲐᲠᲘ ᲡᲐᲮᲚᲘ...

◆ **ᲑᲐᲠᲡᲔᲚᲝᲜᲐ, 23 დეკემბერი.** ოლიმპიურმა ჩემპიონმა, ტუნისელმა სამხედრო მოსამსახურემ მ. გამუდიმ, რომელიც გულმოდგინედ ემზადება ახალი მძლეოსნური სეზონისთვის, ბრწყინვალე გამარჯვებას მიაღწია ადგილობრივ იპოდრომზე გამართულ დიდ საერთაშორისო კროსში. შეჯიბრების წინ, მოთელვისას მან მუხლი იტკინა, მაგრამ, მიუხედავად ამისა, ყველაზე სწრაფად — 24 წუთსა და 38,8 წამში გაირბინა 8-კილომეტრიანი დისტანცია. კროსში მონაწილეობდა 135 მორბენალი, რომელთა შორის ევროპის ბევრი ცნობილი სტაიერი იყო.

◆ **ᲙᲚᲘᲜᲑᲔᲜᲢᲐᲚᲘ, 23 დეკემბერი.** ადგილობრივ ტრამპლინზე, რომელიც უდიდესია გდრ-ში, ბრწყინვალე წარმატებას მიაღწია „მფრინავმა მოთხილამურემ“ ჰ. შმიდტმა. 21 წლის სპორტსმენი 98 მეტრზე გადახტა, რაც ტრამპლინის ახალი რეკორდია. ახალგაზრდა ოსტატმა რესპუბლიკის ყველა უძლიერეს მხტომელს აჯობა.

◆ **ᲚᲘᲣᲒᲚᲘᲐᲜᲐ, 23 დეკემბერი.** კალათბურთელ ვაჟთა VI მსოფლიო ჩემპიონატის საორგანიზაციო კომიტეტმა ამ შეჯიბრების (გაიმართება 1970 წლის 14-25 მაისს იუგოსლავიაში) ჩატარების განრიგი გამოაცხადა. სამი წინასწარი ქვეჯგუფიდან ერთ-ერთს სათავეში მოექცევა სსრ კავშირის ნაკრები (ამ ქვეჯგუფის გუნდების მატჩები ზაგრებთან ახლოს — კარლოვაცში გაიმართება). ამერიკელი კალათბურთელები სარაევოში ითამაშებენ, ბრაზილიელები — სპლიტში. იუგოსლავიის ნაკრები, როგორც შეჯიბრების ორგანიზატორი, ფინალში წინასწარი თამაშების ჩაუტარებლად გადის. I-VII ადგილებისთვის გადამწყვეტი თამაშები ლიუბლიანაში ჩატარდება, ხოლო VIII-XIII ადგილებისთვის — სკოპლეში.

## ᲞᲠᲘᲖᲘ — ᲛᲐᲡᲞᲘᲜᲫᲔᲚᲗᲐ ᲞᲘᲠᲕᲔᲚ ᲒᲣᲜᲓᲘ

რეგბიში თბილისის უნივერსიტეტის 50 წლისთავის სახელობის თასის გათამაშების მეორე ტურში ქუთაისის „დინამომ“ დაამარცხა თბილისის „განთიადი“ — 22:0. გამარჯვებულთაგან კარგად ითამაშეს სვანიძემ, ბოკუჩიამ და ძმებმა ნაცვლიშვილებმა.

უნივერსიტეტის პირველი და მეორე გუნდების დაძაბული ორთაბრძოლა დამთავრდა პირველი ნაკრების სასარგებლოდ — 23:12. გუნდს 13 ქულა შესძინა ვ. ლიჩელმა.

გუშინწინ გაიმართა ტურნირის დასკვნითი ეტაპი. უნივერსიტეტის მეორე ნაკრებმა დაამარცხა „განთიადი“ — 3:0 (მეტოქის მოედანზე ბურთი დადო ი. მათიკაშვილმა).

შემდეგ მინდორზე გამოვიდნენ ქუთაისის „დინამო“ და უნივერსიტეტის პირველი ნაკრები. დაუზეერავად დაწყებულ ბრძოლაში მეტოქეთა ნერვიულობა იგრძნობოდა, რასაც „ხელს უწყობდა“ ატალახებული მინდორიც. მიუხედავად ამისა, მატჩი საინტერესოდ წარიმართა. პირველ ტაიმში ტერიტორიული უპირატესობა ქუთაისელთა მხარეზე იყო და ანგარიშიც მათ გახსნეს: ვ. ქათამაძემ ბურთი მოწინააღმდეგის ჩასათვლელ მოედანზე დადო. ტაიმის დასასრულს თბილისელმა ლიჩელმა ზუსტად შეასრულა საჯარიმო დარტყმა და ანგარიში გაათანაბრა — 3:3.

მეორე ტაიმი გარდამავალი უპირატესობით მიმდინარეობდა. თბილისელები ორჯერ იხსნა ძელმა. დაძაბული ბრძოლის მიუხედავად, ანგარიში აღარ შეცვლილა.

ამრიგად, საპატიო პრიზის მფლობელი გახდა უნივერსიტეტის პირველი გუნდი. მის წევრებს გადაეცათ პირველი ხარისხის დიპლომები. გამარჯვებული გუნდი (მწვრთნელი ს. მელითაური) გამოდიოდა შემდეგი შემადგენლობით: დ. ციცაძე, დ. თაქთაქიშვილი, ც. ქადაგიშვილი, რ. კორძაძე, რ. აიწურაძე, ი. კალანდარიშვილი, ს. კიკნაძე, თ. დუნდუა, კ. ბილაშვილი, ი. ჯალაღანიშვილი (კაპიტანი), დ. კილასონია, ი. გელოვანი, ტ. ბერიძე, გ. ცენტერაძე, ა. კიკალეიშვილი, ჯ. შენგელია, ვ. ლეჟავა და ვ. ლიჩელი.

II ადგილი წილად ხვდათ ქუთაისელ რეგბისტებს, III — უნივერსიტეტის მეორე გუნდს.

ს. ᲨᲐᲜᲓᲣᲠᲘᲐ.

* * *

**ᲡᲣᲠᲐᲗᲨᲔ: უნივერსიტეტის პირველი ნაკრებისა და ქუთაისის გუნდის შეხვედრის მომენტი.**

ფოტო ავტორისა.

**ახალი მძლეოსნური სეზონი ევროპაში ოლიმპიურზე საინტერესოა ● ხის, ბიტუმის, ტარტანის ბილიკებზე ● შეჯიბრებების ოთხწლიანი ციკლი ● მატჩი დასავლეთ ნახევარსფეროსთან ● „კეთილი იყოს თქვენი მოგზაურობა!“ საბჭოთა მძლეოსნებთან**

# „დედოფალი სტარტზე“

ეროვნული ბიბლიოთეკა

ნოემბრის მიწურულს ბრიუსელის სასტუმრო „მეტროპოლში“ ჩატარდა იაფ-ის (მძლეოსნობის საერთაშორისო ფედერაცია) ევროპული კომიტეტის სხდომები. აას-ის ჯორჯ-პონდენტმა სსრ კავშირის მძლეოსნობის ფედერაციის თავმჯდომარის მოადგილეს ა. შერჩიძეს, რომელიც ბრიუსელში საბჭოთა დელეგაციას ხელმძღვანელობდა, სთხოვა ეამბნა კონგრესის უმნიშვნელოვანეს გადაწყვეტილებებზე.

● საზღვარგარეთის პრესაში გამოქვეყნდა იაფ-ის ევროპული კომიტეტის პრეზიდენტის, ბ-ნ პაულენის განცხადება იმის შესახებ, რომ ბრიუსელში გადაწყდა ევროპული მძლეოსნობის განვითარების დიდი, აქტუალური პრობლემები. მართლა ასეა?

— დიახ, ამ შემთხვევაში ბ-ნი პაულენი მართალია. ოლიმპიადის შემდეგ ეს კომიტეტის პირველი კონგრესი იყო და მან მნიშვნელოვანწილად განსაზღვრა ჩვენს კონტინენტზე მძლეოსნობის განვითარების გზები.

● რაში გამოიხატება ეს?

— იმაში, მაგალითად, რომ დადგენილია დიდი შეჯიბრებების ოთხწლიანი ციკლი. ამ ტურნირების დანიშნულებაა მძლეოსნობის პროგრესის სტიმულირება ეროვნულ და ევროპულ მასშტაბებში, სხვადასხვა ქვეყნის სპორტული ახალგაზრდობის მეგობრობის განმტკიცებაზ. აი, როგორი თანმიმდევრობით ჩატარდება ეს შეჯიბრებები:

1969 წელი — ევროპის საზაფხულო ჩემპიონატი (ათენი), 1970 წელი — ევროპის თასი (ვაჟთა გუნდების ფინალი სტოკჰოლმში. ქალთა გუნდებისთვის ფინალის ადგილი მოგვიანებით დადგინდება), 1971 წელი — ევროპის საზაფხულო ჩემპიონატი (ჰელსინკი), 1972 წელი — ოლიმპიური თამაშები (მიუნჰენი), 1973 წელი — ევროპის თასი, 1974 წელი — ევროპის საზაფხულო ჩემპიონატი (შეჯიბრების მასპინძლობა სურთ ბუქარესტს, მადრიდს, ლოზანას).

დამუშავებულია იუნიორების დიდი საერთაშორისო შეჯიბრებების პროგრამაც. იუნიორთა მომავალი ევროპული თამაშები ჩატარდება 1970 წელს პარიზში. ეს შეჯიბრება საფრანგეთის მძლეოსნობის ფედერაციის 75 წლის იუბილეს დაეთმთვევა.

დაბოლოს, საკონტინენტთაშორისო შეხვედრებზე. ვფიქრობ, ნათელია, თუ რაოდენ დიდ ინტერესს გამოიწვევენ ეს შეხვედრები. ევროპა „სპორტის დედოფლის“ აკვანია, მაგრამ სხვა კონტინენტებზე, განსაკუთრებით, ამერიკულ ქვეყნებში ამ სახეობის წარმომადგენლები ძალიან ძლიერები არიან. ამიტომ გასაგებია, მაგალითად, მნიშვნელობა ევროპა — ამერიკის (დასავლეთ ნახევარსფერო) მატჩისა, რომელიც 1969 წლის 29-30 ივლისს შტუტგარტში უნდა ჩატარდეს. სწავლობენ შემდგომში ევროპა—აფრიკის მატჩის ჩატარების საკითხს.

● განიხილეს თუ არა ბრიუსელში მომავალი სეზონის ევროპული საერთაშორისო კალენდარი?

— რასაკვირველია. იგი დაამტკიცეს კიდეც. უნდა ითქვას, რომ შეჯიბრებების გაჭანებით, მასშტაბებითა და მნიშვნელობით 1969 წლის სეზონი ოლიმპიურს არაფრით ჩამოუვარდება. ამჟამად თითქმის ყველა ქვეყნის საერთაშორისო კალენდარი ტრადიციული შეჯიბრებებით დაიტვირთა. აქ შედის მემორიალებიც, ღია ტურნირებიც, ორმხრივი და მრავალმხრივი ამხანაგური მატჩებიც სრული ოლიმპიური პროგრამითა და მძლეოსნობის ცალკეული სახეობების მიხედვით (კროსები, მარათონული რბენა, სპრინტერის, მხტომელის დღეები და ა. შ.). მთელ ევროპაში. განსაკუთრებულ ზამთრის შეჯიბრებები დასურულ შენობებში. ბრიუსელის კონგრესზე ბევრი იმსჯელეს, რათა სპორტული მოვლენების ამ სიმრავლეში ასე თუ ისე წესრიგი დაემყარებინათ და დაეტოვებინათ ფანტრები დიდი შეჯიბრებებისთვის, რომელთა ჩატარებითაც ბევრი ქვეყანაა დაინტერესებული.

● ხომ არ დაასახელებდით ამ შეჯიბრებებს?

— მათგან ნაწილი, მაგალითად, ათენის ჩემპიონატი, უკვე დავასახელეთ. ამას უნდა დავუმატოთ ევროპის პირველობები დასურულ შენობაში. უახლოესი შეჯიბრება გაისად 8-9 მარტს გაიმართება ბელგრადში, მომდევნო პირველობის ჩატარება განზრახულია ვენაში 1970 წლის გაზაფხულზე. წლიდან წლამდე იზრდება ზნამენსკების მემორიალის პოპულარობა (1969 წელს ამ შეჯიბრების მონაწილეები ოდესაში შეხვდებიან ერთმანეთს). მრავალი ქვეყნის მძლეოსნებს იზიდავს ისეთი შეჯიბრებები, როგორიცაა კუსოჩინსკის მემორიალი პოლონეთში, „ოლიმპიური დღეები“ ბერლინში, „ათლეტური თამაშები“ ჰელსინკში და სხვ.

● შეჯიბრებების ორგანიზაციაში რა სიახლეებს ვიხილავთ მომავალ ევროპულ სეზონში?

— ჯერ ერთი, უნდა აღინიშნოს ქალთა შეჯიბრებების პროგრამის გაფართოება. ათენის ჩემპიონატის პროგრამაში დამატებით შეტანილია 1500 მეტრზე რბენა, ესტაფეტა 4×400 მეტრზე, თარჯრბენი 100 მეტრზე (80-მეტრიანი დისტანციის მაგიერ). სხვათა შორის 100-მეტრიან თარჯებიან დისტანციას შეიტანენ გოგონათა შეჯიბრებაშიც, ხოლო ჭაბუკთა ასპარეზობაში 1500 მეტრზე დაბრკოლებებით რბენა 2000-მეტრიანით შეიცვლება.

შემდეგ, განხდა ტენდენცია, რომ დიდ შეჯიბრებებში მხოლოდ ძლიერი სპორტსმენები მონაწილეობდნენ. მაგალითად, ბელგრადის საზამთრო პირველობისთვის გადაწყვეტილია შეზღუდვა: თუ რომელიმე ქვეყანას პროგრამის ყოველ ნომერში ერთზე მეტი მონაწილის წარდგენა სურს (დასაშვები მაქსიმუმი სამია), მაშინ შეჯიბრებაში მხოლოდ ის სპორტსმენები გამოვლენ, რომელთაც შარშანდელ ევროპულ კლასიფიკაციაში ოც უძლიერესს შორის უჭირავთ ადგილი. ათენის ევროპული ჩემპიონატის მონაწილეებისთვის დადგენილია საკვალიფიკაციო ნორმატივები, რაც მექსიკის ოლიმპიელთათვის დადგენილ ნორმატივებზე მაღალია.

სეზონის კიდევ ერთი თავისებურება: ევროპის რიგი ქვეყნების სტადიონებზე შეჯიბრებები ჩატარდება სრულყოფილ რეზინ-ბიტუმისა და ტარტანის ბილიკებზე. კერძოდ, ათენის ჩემპიონატის ორგანიზატორებმა აიღეს ვალდებულება ტარტანის ბილიკი 1 ივნისისთვის დაამზადონ, რათა სხვა ქვეყნების მძლეოსნებმა შეძლონ სარბიელის შემოწმება ამხანაგურ შეჯიბრებებში ოფიციალური სტარტების წინ. დაბოლოს, ბრიუსელის კონგრესზე უნიფიცირებულ იქნა დახურულ შენობებში შეჯიბრებების პროგრამები.

● რას იტყვით საბჭოთა მძლეოსნების მომავალი საერთაშორისო სტარტების შესახებ?

— ყველა მომავალი შეხვედრის ჩამოთვლა შეუძლებელია. საბჭოთა სპორტსმენებს ბევრ ქვეყანაში-ჰქონდათ ვიზიტი და კეთილი გულით მოელიან მრავალრიცხოვან უცხოელ სტუმარს. საერთაშორისო სეზონს ჩვენი მძლეოსნები იწყებენ შუა თებერვლიდან ტრადიციული „ოთხი მანეჟის ტურნეთი“— შეჯიბრებებით რიგაში, ტალინში, ლენინგრადსა და მოსკოვში. ქვეყნის საზამთრო პირველობას (სტუმრების მონაწილეობით) მოსკოველები ნახავენ 15-16 მარტს ლუჟნიკის სპორტის სასახლეში. ზნამენსკების მემორიალი, საერთაშორისო კროსი გაზეთ „პრავდის“ პრიზზე, ტრადიციული მატჩი: პოლონეთი — სსრ კავშირი — გდრ (კატოვიცეში), რიგის თასის გათამაშება, იუნიორთა გუნდების მატჩი: სსრ კავშირი — საფრანგეთი (სოჭში), სოციალისტური სახელმწიფოებისა და დასავლეთ ევროპის ქვეყნების სპორტსმენებთან გამგზავრება — ერთი სიტყვით, საბჭოთა მძლეოსნები გვიან შემოდგომამდე სარბიელზე იქნებიან.

ანგარიშგება - არჩევნებზე

# დამფუძნებელი...

ამას წინათ გაიმართა თბილისის „სპარტაკის“ საქალაქო საბჭოს დამფუძნებელი კონფერენცია, რომლის მუშაობაშიც დედაქალაქის 458 ფიზკულტურული კოლექტივის წარმომადგენლები მონაწილეობდნენ.

სიტყვით გამოვიდა რესპუბლიკური საბჭოს ინსტრუქტორი მ. კალანდაძე, რომელმაც ილაპარაკა თბილისელი სპორტსმენების წვლილზე ამ საზოგადოების საერთო წარმატებებში. მან თქვა, რომ ბოლო სამ წელიწადში თბილისში მომზადებულია 4 საერთაშორისო კლასის სპორტის ოსტატი, 28 სპორტის ოსტატი, 34 ოსტატობის კანდიდატი, 269 პირველთანრიგოსანი და ათასობით სხვა თანრიგების სპორტსმენი. ფიზკულტურელთა რიცხვი 9802 კაცით გაიზარდა. ანგარიშგება-არჩევნების ახლახან ჩატარებული კამპანიის დროს საზოგადოებას შეემატა 5 ახალი კოლექტივი.

დედაქალაქის სპარტაკელებიდან 52 ათლეტი მონაწილეობდა საბჭოთა კავშირის ხალხთა IV სპარტაკიადის ფინალურ შეჯიბრებაში. „სპარტაკის“ V საკავშირო სპარტაკიადაში თბილისელი სპორტსმენები თითქმის ყველა სახეობაში გამოდიოდნენ, როგორც საზოგადოების ნაკრების წევრები. ამ ასპარეზობაში ოქროს მედლები მოიპოვეს და ჩემპიონები გახდნენ მოჭიდავეები შ. პაპაშვილი, დ. გვანცელაძე, გ. ყვარელაშვილი, თანამედროვე ხუთჭიდელი ა. კრავჩენკო. გუნდურ ჩათვლაში ჩემპიონობა დაისაკუთრეს თავისუფალი სტილის მოჭიდავეებმა.

მ. კალანდაძემ ილაპარაკა მოწინავე კოლექტივების — სპორტკლუბების „სინათლისა“ და „ისნის“, №№ 1, 3 და 4 მექანიკური ქარხნების, საკონდიტრო კომბინატის, უსინათლოთა საზოგადოების, თბილწყალსადენის, კინოსტუდია „ქართული ფილმის“, თბილფოსტამტის ფიზკულტურელთა საქმიანობაზე.

მოხსენებაში დიდი ადგილი დაეთმო ნაკლოვანებებსაც. აღინიშნა, რომ საშუალო და უფროსი ასაკის მშრომელებთან მუშაობა ჩამორჩენილია. იმის გამო, რომ ქალაქში არც ერთი ფასიანი სექცია არაა შექმნილი, მოისუსტებს ბავშვთა შორის ფიზკულტურული მუშაობა, დღემდე ვერ გადაწყდა ცურვაში სპეციალიზებული სპორტსკოლის გახსნის საკითხი. საჭიროა ჭიდაობის სპორტსკოლის გახსნაც.

ჩამორჩენილთა შორის დაასახელეს ქალაქის № 1 და რესპუბლიკის კლინიკური საავადმყოფოების, ოპერისა და ბალეტის თეატრის ფიზკულტურული კოლექტივები.

კამათში მონაწილეობდნენ: ა. ვანაძე („სინათლე“), ა. ახვერდოვი (თბილწყალსადენი), ა. იორდანიშვილი (ავჭალის შუშის ქარხანა), ე. ლომთაძე (მწვრთნელი მძლეოსნობაში), ო. კაკაბაძე (ყრუმუნჯთა საზოგადოება), ვ. კაკაურიძე (თბილფოსტამტი), მ. ოსიყმაშვილი (ჭიდაობის მწვრთნელი).

კონფერენციის მუშაობა შეაჯამა „სპარტაკის“ რესპუბლიკური საბჭოს თავმჯდომარის მოადგილემ ხ. რობაქიძემ.

„სპარტაკის“ საქალაქო საბჭოს პირველმა პლენუმმა თავმჯდომარედ აირჩია მ. კალანდაძე.

**თ. გაჩეჩილაძე.**

# 4 გუნდი — ეს ცოტაა

საქართველოს პოლიტექნიკური და ფიზკულტურის ინსტიტუტების გარდა რესპუბლიკის უმაღლეს სასწავლებლებში ცურვას, რომ ნაკლები ყურადღება ეთმობა, ეს ერთხელ კიდევ დაადასტურა თბილისის უმაღლესი სასწავლებლების სტუდენტთა პირველობამ (ამას წინათ გაიმართა ზამთრის რესპუბლიკურ აუზში). ტურნირში მხოლოდ 4 გუნდი ჩაება: უნივერსიტეტის, პოლიტექნიკური, ფიზკულტურისა და სამედიცინო ინსტიტუტების წარმომადგენლები.

უნივერსიტეტისა და სამედიცინო ინსტიტუტის სპორტსმენებმა ვერც ერთი საპრიზო ადგილის დასაკუთრება ვერ შეძლეს. უფრო მეტიც, უნივერსიტეტის სტუდენტებმა ნ. ლაბაძემ და ფ. სოკოლოვმა ფინიშამდე რის ვაივაგლახით მიაღწიეს და უთანრიგოდ დარჩნენ — პირველმა 100 მეტრზე ბატერფლაით ცურვას 2.09,0, ხოლო მეორემ—400 მეტრზე თავისუფალი სტილით ცურვას 8.20,0 მოანდომა. უთანრიგოდ დარჩა, აგრეთვე, სამედიცინო ინსტიტუტის წარმომადგენელი ნ. დანელია, რომელმაც 1 წუთი და 48,9 წამი მოანდომა 100 მეტრის თავისუფალი სტილით გაცურვას.

ერთობ მცირე იყო მონაწილეთა რიცხვიც. მაგალითად, 200 მეტრზე გულაღმა ცურვაში მარტო 3 ქალი გამოვიდა, ხოლო 4×100 მეტრზე თავისუფალი სტილით ქალთა ესტაფეტაში გუნდები მხოლოდ პოლიტექნიკურმა და ფიზკულტურის ინსტიტუტებმა გამოიყვანეს.

თითქმის თანაბარი ძალისანი აღმოჩნდნენ ფიზკულტურისა და პოლიტექნიკური ინსტიტუტების სპორტსმენები, რომელთა შორისაც მწვავე ბრძოლა გაჩაღდა. სწორედ მათ აჩვენეს ოსტატობის კანდიდატის 3 და I თანრიგის 18 შედეგი, სხვები II თანრიგს ვერ აცდნენ.

400 მეტრზე ვაჟთა კომპლექსურ ცურვაში სპორტის ოსტატმა ა. იოაკიმიდიმ (სპი) ჰ. შიხიკიანს (ფიზკულტურის ინსტიტუტი) 0,1 წამით აჯობა. გამარჯვებულის შედეგია 5.21,2. 4×100 მეტრზე თავისუფალი სტილით ვაჟთა ესტაფეტაში ფიზკულტურის ინსტიტუტის გუნდმა 4.11,2 აჩვენა, ხოლო მისმა მეტოქემ 0,7 წამით უარესი დრო. ზუსტად ასეთივე განსხვავებით მოიგო პოლიტექნიკური ინსტიტუტის გუნდმა ქალთა კომბინირებული ესტაფეტა 4×100 მეტრზე.

საბოლოოდ გუნდური ადგილები ასე განაწილდა: 1. ფიზკულტურის ინსტიტუტი — 16.898 ქულა, 2. პოლიტექნიკური ინსტიტუტი — 16.352 ქულა, 3. უნივერსიტეტი — 3.397 ქულა.

დასასრულს უნდა აღინიშნოს, რომ ტურნირი კარგად იყო ორგანიზებული. ყოველი გაცურვის შემდეგ აცხადებდნენ გუნდური პირველობის მსვლელობას, დამთავრებისთანავე აჯილდოვებდნენ გამარჯვებულებს...

**ა. გურასაშვილი.**

## ბორჯომის სპორჯული ცხოვრება

### ასპარეზობენ ნორჩები

ბორჯომის სპორტსკოლისა და კომკავშირის რაიკომის ინიციატივით გაიმართა მოსწავლეთა ტურნირები მძლეოსნობაში, ფეხბურთსა და კალათბურთში.

საინტერესოდ წარიმართა ფეხბურთელთა ასპარეზობა. გარდამავალი თასის მფლობელი გახდა რუსული საშუალო სკოლის გუნდი, რომელმაც ფინალში დაამარცხა პირველი საშუალო სკოლის კოლექტივი.

დაწყებითი კლასების ნორჩთა შეჯიბრება მძლეოსნურ სამჭიდში ახალდაბის სკოლა-სანატორიუმის ნაკრებმა მოიგო, II ადგილზეა ჭობისხევის, III — რველის რვაწლიანი სკოლის გუნდი.

რვაწლიანი სკოლების მძლეოსანთა შორის I ადგილი წილად ხვდათ კორტანეთელ მოსწავლეებს.

ფრენბურთში ქალაქის სკოლების გუნდები გამოვიდნენ. ისინი ორ ასაკობრივ ჯგუფად დაიყვნენ (გოგონებისა და ბიჭების 8-9 გუნდი).

უფროს ასაკში I ადგილი დაიკავა რუსული სკოლის გუნდმა, უმცროს ასაკში, როგორც ბიჭებში, ისე გოგონებში უძლიერესნი იყვნენ რკინიგზის სკოლის ფრენბურთელები.

### ბელადის იუბილეს მიუძღვნეს

ვ. ი. ლენინის დაბადების 100 წლისთავის იუბილეს მიეძღვნა რაიონის პირველობა კომბინირებულ ესტაფეტაში, რომელშიც ბორჯომის ყველა საშუალო სკოლის, შუშის, მინერალური წყლის ჩამომხმელი ქარხნებისა და ციხისჯვრის საბჭოთა მეურნეობის გუნდები მონაწილეობდნენ.

სკოლებს შორის I ადგილი დაიკავა რუსული სკოლის ნაკრებმა, II ადგილზე არიან რკინიგზის სკოლის მოსწავლეები, III — 1-ლი სკოლის გუნდი.

დანარჩენ კოლექტივთა შორის ყველას აჯობეს მინერალური წყლის ჩამომხმელი ქარხნის ფიზკულტურელებმა, II ადგილზე არიან ციხისჯვრელები, III — შუშის ქარხნის გუნდი.

### რაზმეულებს შორის

ჩატარდა პიონერ-მოჭადრაკეთა შეჯიბრება რაიონის პირველობაზე. მონაწილეობდნენ ბორჯომის 1-ლი, მე-2, რუსული, ბაკურიანი.ს, წაღვერის, ყვიბისის, ახალდაბის საშუალო სკოლებისა და ახალდაბის სკოლა-სანატორიუმის რაზმეულების გუნდები.

გაიმარჯვეს რუსული საშუალო სკოლის ნორჩებმა.

**მ. შარიძაძე.**

რაკეტინიერი

### თბილისი

უნივერსიტეტში დამთავრდა მოჭადრაკეთა ტურნირი, რომელიც ლენინური კომკავშირის 50 წლისთავისადმი იყო მიძღვნილი. I ადგილი წილად ხვდა ფიზიკის ფაკულტეტის პირველკურსელს ტ. ჯაფარიძეს — 10 ქულა 12-დან.

**ა. ჯღარკავა,**
**შეჯიბრების მთავარი მსაჯი.**

### რუსთავი

ქიმიური ბოჭკოების ქარხანას ამას წინათ საქართველოს პოლიტექნიკური ინსტიტუტის ქიმიური ფაკულტეტის სტუდენტები ეწვივნენ. მეგობრული შეხვედრის მონაწილეებს სტუდენტმა, ოსტატმა თ. გიორგაძემ ერთდროული თამაშის სეანსი გაუმართა 10 დაფაზე. ყაიმს მიაღწია კომბინატის ტექნიკური განყოფილების უფროსის მოადგილემ ო. სულაბერიძემ, ხოლო დანარჩენები დამარცხდნენ.

**ბ. დოლენჯიშვილი.**

• • •

ყოველი საფეხბურთო სეზონის დამთავრების შემდეგ ტრადიციულადაა დაწესებული „მეტალურგის“ ვეტერან და ახალგაზრდა ფეხბურთელთა შეხვედრა. ამას წინათ რუსთავში თოვდა, მაგრამ მაინც შედგა მატჩი. გაიმარჯვეს ახალგაზრდებმა — 5:2.

**რ. ბაბრიჰიძე.**

### კასპი

ერთ თვეს გაგრძელდა რაიონული სპარტაკიადა, რომლის პროგრამაშიც 8 სახეობა შედიოდა. ასპარეზობაში მონაწილეობდა 17 ფიზკულტურული კოლექტივი. საერთო პირველი ადგილი დაიკავა კასპის ცემენტის ქარხნის ნაკრებმა. II ადგილი წილად ხვდათ ყარაღაჯის კოლმეურნეობის სპორტსმენებს, III — ახალქალაქელ ფიზკულტურელებს.

**ლ. ელისაბედაშვილი.**

რაკეტინიერი

ეროვნული ბიბლიოთეკა

# ნაკრები და კლუბები

სსრ კავშირის ჩემპიონატის გათამაშების პრინციპებზე გამართული დისკუსიის დროს მკითხველებმა ბევრი საინტერესო მოსაზრება გამოთქვეს ქვეყნის ნაკრებზე და უამრავი შეკითხვაც დასვეს. ჩვენ თავი მოვუყარეთ ამ შეკითხვებს და სსრ კავშირის ნაკრების უფროს მწვრთნელს, სსრ კავშირის დამსახურებულ მწვრთნელს **ბ. კაჩალინს** ვთხოვეთ პასუხი გაეცა მათზე.

**● ზოგიერთი მკითხველის წერილებში გამოთქმული იყო აზრი, რომ სსრ კავშირის ჩემპიონატისა და თასის გათამაშების სტრუქტურის შეცვლა ნაკრების ინტერესებით სახიფათოა თავისთავად. რა შეგიძლიათ გვითხრათ ამის თაობაზე?**

— დიახ, ასეთი ტენდენცია არსებობს. მაგრამ ამით დაინტერესებულია არა მხოლოდ ნაკრები, არამედ კლუბებიც. უმაღლეს ლიგაში 20 გუნდია და ნაკრების საპასუხისმგებლო შეჯიბრებებისთვის მოსამზადებლად პრაქტიკულად დრო არ კმარა. იგი იძულებული იყო თავისი დროშის ქვეშ ეხმო კლუბების მოთამაშეები სწორედ მაშინ, როცა ქვეყნის პირველობის თამაშები გასურდა. ბუნებრივია, კლუბების ინტერესებს საგრძნობი ზიანი მიადგა. ეს კი ბუმერანგივით ხვდებოდა ნაკრებს.

ქვეყნის გასული ჩემპიონატის მეორე წრე, როგორც ცნობილია, უფრო საბრძოლო და საინტერესო გამოდგა, ვიდრე პირველი. მატჩების უმეტესობა უშელავათოდ და მძაფრად ტარდებოდა, უფრო შინაარსიანი იყო. ამის ერთერთი მიზეზია ნაკრების მოთამაშეთა დაბრუნება თავიანთ გუნდებში.

ჩვენ, ნაკრების მწვრთნელებმა, მწვრთნელთა საბჭოს მოვახსენეთ გუნდის მზადების პრინციპებზე. ეს პრინციპები გულისხმობს არა მარტო უარს იმაზე, რომ მოთამაშეები ნაკრების მატჩებისთვის ქვეყნის ჩემპიონატის ორთაბრძოლების დროს წამოვიყვანოთ. ეს გზა ითვალისწინებს სპეციალურ ფანჯრებს ჩემპიონატში. სწორედ მაშინ ჩატარდება ნაკრების ძირითადი თამაშები, ამასთან, საკლუბო გუნდებს დრო მიეცემათ განსატვირთი ციკლებისთვის, „ჭრილობების მოშუშებისთვის“. ეს პრინციპები მოიწონეს ჩვენმა კოლეგებმა საკლუბო გუნდებიდან. მე ვფიქრობ, ნაკრებისა და კლუბების ინტერესები ერთმანეთს არ უნდა დაუპირისპირდეს.

**● მიგაჩნიათ თუ არა სასარგებლოდ სსრ კავშირის ნაკრების მოგზაურობა საზღვარგარეთ წლის დამდეგს, როცა საკლუბო გუნდებს უკვე დაწყებული აქვთ ქვეყნის ჩემპიონატისთვის მზადება, განსაკუთრებით ახლა, როცა წამყვანმა გუნდებმა უარი თქვეს დარბაზში ხანგრძლივად ვარჯიშზე და ადრიანად მიდიან სამხრეთის მინდვრებზე?**

— ჩვენი გუნდისთვის, რომელიც შემადგენლობის გადახალისებას შეუდგა, ადრეულ გასვლებს უცხოურ ტურნეებში ძალიან დიდი მნიშვნელობა აქვს. ამ შეხვედრებში ახალგაზრდა ოსტატები მაღალ დონეზე ბრძოლის ატმოსფეროში მოექცევიან, სხვადასხვა პირობებში, სხვადასხვა საფარის მქონე მინდვრებზე, მკვეთრად განსხვავებულ კლიმატურ პირობებში, სხვადასხვა მსაჯობის დროს თამაშის გამოცდილებას მიიღებენ, გაეცნობიან თამაშის სხვადასხვა სტილსა და მანერას.

ჩვენ მზადების ადრეულ სტადიაშივე ვეცდებით მივაღწიოთ შემადგენლობის სტაბილიზაციას, რგოლებისა და ხაზების საიმედო შეთამაშებას. ამას გარდა, შეჯიბრების პირობებში შემოწმდება ჩვენი ტაქტიკური იდეები, რაც მოგვცემს საშუალებას განვსაზღვროთ მთავარი ტაქტიკური ხაზი, რომლის სრულყოფასაც შევძლებთ ერთობლივი მუშაობის დღეებში, მსოფლიო ჩემპიონატის შესარჩევ თამაშებამდე.

მაგრამ დავუბრუნდეთ თქვენს შეკითხვას. ჩემი ნაამბობიდან ჩანს, რომ ჩვენი გგმები არ არღვევენ საკლუბო გუნდების მზადების გეგმებს. ისინი ერთმანეთთანაა დაკავშირებული. უფრო მეტიც: როგორც ჩანს, ბოლო ხანს საკლუბო გუნდების მწვრთნელებსაც ურჩევნიათ უცხოეთის სტადიონების კარგ მინდვრებზე მოემზადონ ჩემპიონატისთვის. ყოველ შემთხვევაში, გაისად მოსკოვის გუნდები „დინამო“, „ტორპედო“ და „სპარტაკი“ უცხოეთში ითამაშებენ.

**● როგორი უნდა იყოს ნაკრებისა და საკლუბო გუნდების მწვრთნელთა ურთიერთობა?**

— მეგობრული! ჩვენ ყველანი ერთ საქმეს ვემსახურებით, დიდსა და რთულ საქმეს. ჩვენი მიზანი ისაა, რომ ახალმა თაობამ ღირსეულად ატაროს სამამულო ფეხბურთის დროშა.

ნაკრების მწვრთნელები დარწმუნებული ვართ, რომ საზღვარგარეთული ტურნედან დაბრუნების შემდეგ ფეხბურთელები იოლად შეეგუებიან თავიანთი გუნდების ანსამბლს. ეს იმით აიხსნება, რომ არ ვაპირებთ წავშალოთ კლუბებში გამომუშავებული ხელწერა მოთამაშეებისა.

თუ ნაკრების გეგმები ხელს კი არ უშლის, არამედ ეხმარება საკლუბო გუნდების მწვრთნელებს, ბუნებრივია, რომ ჩვენი კოლეგებიც სიამოვნებით გაგვიწევენ დახმარებას. ეს ძალიან მნიშვნელოვანი ამბავია. ნაკრებში ფეხბურთელებთან მუშაობა ძირითადად ტაქტიკური და ფსიქოლოგიური თვალსაზრისითაა წარმართული. საკლუბო გუნდებში ამას ემატება ტექნიკური და ფიზიკური მომზადება. დღევანდელი ფეხბურთი მაღალი აქტივობისა და მანევრულობის ფეხბურთია. და აქ გადამწყვეტი როლი ენიჭება მოთამაშის ფიზიკურ მომზადებას. ესე იგი, მხოლოდ მწვრთნელთა ერთიან ფრონტს შეუძლია უზრუნველყოს ჩვენი ნაკრების წარმატება.

**● რომელი მოთამაშეებით უნდა დაკომპლექტდეს ნაკრები: პერსპექტიული ფეხბურთელებით, თუ იმ სპორტსმენებით, რომელთაც შეჯიბრების მოცემულ ეტაპზე გამარჯვების მოტანა შეუძლიათ?**

— არის კიდევ ერთი თავისებურება, რომელიც თანამედროვე ფეხბურთს უწინდელისგან განასხვავებს. ახლა ყველამ ისწავლა კარგი ფეხბურთის თამაში. განა ამის დადასტურება არაა კორეის სახალხო-დემოკრატიული რესპუბლიკის ნაკრების გამოსვლა განვლილ მსოფლიო ჩემპიონატში? ახლა შესარჩევი თამაშები? ჯგუფში, სადაც გამოდიან ესპანეთისა და იუგოსლავიის გუნდები — ევროპის ტრადიციულად მოწინავე საფეხბურთო ქვეყნების ფეხბურთელები, ბელგიის ნაკრები ლიდერობს. ლიდერობს დამაჯერებლად — ოთხ მატჩში 7 ქულა დაგროვა. კიდევ ერთი მაგალითი: პორტუგალიის ნაკრებმა, ეუსებიოს მეთაურობით, წაგო ბერძენ ფეხბურთელებთან — 2:4.

ორჯერ ვუყურეთ ჩრდილოეთ ირლანდიისა და თურქეთის ნაკრები გუნდების, შესარჩევ მატჩებში ჩვენს მეტოქეთა თამაშს. ორი შეხვედრა ირლანდიელებმა მოიგეს. ამასთან, მეორე მატჩში არ გამოდიოდა დიდი ბრიტანეთის უძლიერესი თავდამსხმელი ბესტი, რომელიც „მანჩესტერ იუნაიტედში“ თამაშობს. სწორედ ბესტზე თქვა ჩემთან საუბარში ინგლისის ნაკრების მწვრთნელმა რამსეიმ: ძალიან ვწუხვარ, რომ ბესტი ირლანდიაში დაიბადაო. ჩრდილოეთ ირლანდიის გუნდი ძლიერია, მაგრამ ამ წაგებით თურქეთის ნაკრების ხელმძღვანელებიც მიიღებენ გაკვეთილს და უნდა ვიფიქროთ, ჩვენთან შეხვედრისთვის გაცილებით უკეთ მოემზადებიან, ვიდრე ირლანდიელებთან მატჩისთვის.

მეტოქეები ძნელად დასაძლევი გვყავს. შესაბამისად, რთულია ამოცანაც — მათი ჩამოტოვება და მსოფლიოს IX ჩემპიონატის ფინალურ ჯგუფში მოხვედრა. ამ ამოცანის გადაწყვეტა შეიძლება, თუ ნაკრებში შევიყვანთ მოცემული პერიოდისთვის უძლიერეს მოთამაშეებს, მიუხედავად მათი ასაკისა. მაგრამ ეს სულაც არ ნიშნავს, თითქოს მომავლისთვის არ უნდა ვიფიქროთ. ნაკრებში პერსპექტიული მოთამაშეებიც უნდა იყვნენ. და იქნებიან კიდეც.

**● ვის ევალება სელექციური მუშაობა ნაკრებში?**

— ძირითადად ჩვენ, ნაკრების მწვრთნელებს, ეგგენი გორიანსკის და მერჩევლებითა და წინადადებებით არსებით დახმარებას გვიწევენ მეორე ნაკრების, ახალგაზრდული, ჭაბუკთა გუნდების მწვრთნელები, რომლებიც სხვადასხვა კოლექტივის მოთამაშეებს აკვირდებიან. გვეხმარებიან ჩვენი კოლეგები კლუბებიდანაც. მუშაობას იწყებს სპეციალური სახელექციო კომიტეტიც, რომელსაც სპორტის ოსტატი ნ. გლებოვი ხელმძღვანელობს. ამ კომიტეტში შევლენ „ა“ კლასის ორივე ლიგის გუნდების უფრო გამოცდილი და კვალიფიციური მწვრთნელები, ფეხბურთის ფედერაციის, სპორტული საზოგადოებათა და უწყებათა მწვრთნელები.

**● მაუ, რაში გამოიხატება სსრ კავშირის ფეხბურთის ფედერაციის მწვრთნელთა საბჭოს დახმარება? რა შეადგენს ნაკრების მწვრთნელებისა და მწვრთნელთა საბჭოს უფლება-მოვალეობებს, ვის რა ევალება?**

— მწვრთნელთა საბჭო — თავად დასახელება იძლევა პასუხს მის დამოკიდებულებაზე ნაკრებთან. იგია ჩვენი მრჩეველი, დამხმარე და, რამდენადმე, კონტროლის გამწევიც. სასელექციო კომიტეტი გამოავლენს ნიჭიერ ფეხბურთელებს და ნაკრებში მიღებისთვის რეკომენდაციას მისცემს მათ. მწვრთნელთა საბჭო რეკომენდაციებს განიხილავს და იძლევა ახალგაზრდა ოსტატთა შერჩევისთვის. ამასთან, მწვრთნელთა საბჭო ჩვენი ყველაზე კვალიფიციური მრჩეველია ნაკრების მზადების გეგმების დამუშავების დროს.

მწვრთნელების მოვალეობაა ნაკრების კარგად მომზადება შეჯიბრებებისთვის და მისი წარმატების უზრუნველყოფა. ესე იგი, ჩვენ ვვეკისრება სრული პასუხისმგებლობა თამაშისთვის შემადგენლობის შერჩევისა. რატომ ჩვენ და არა მწვრთნელთა საბჭოს ან ფედერაციის პრეზიდიუმს? იმიტომ, რომ რამდენი კაციცაა, იმდენი აზრი არსებობს. აი, მაგალითი: ფეხბურთის თექნსმეტმა დიდმა სპეციალისტმა გამოთქვა თავისი მოსაზრება 33 საუკეთესოს დასადგენად ქვეყნის 1968 წლის პირველობის შედეგების მიხედვით. დასახელეს 90-ზე მეტი ოსტატი! „სოვეტსკი სპორტმა“ კი ერთხელ მკითხველებს სთხოვა ნაკრების სავარაუდო შემადგენლობის დასახელება და ერთი კვირის განმავლობაში 70-ზე მეტი სხვადასხვა ვარიანტი მიიღო.

ეს იგი, გამოდის, რომ ვიღაცამ ერთმა უნდა გადაწყვიტოს, რომელი ვარიანტია ყველაზე უკეთესი მოცემულ ეტაპზე. ეს შეიძლება გააკეთოს მხოლოდ ნაკრების მწვრთნელმა, რომელიც ითვალისწინებს ფეხბურთელის ხასიათის თავისებურებებსაც, მის თვისებებსაც და ყოველდღიურ ქცევასაც კი, რაც სულაც არაა ცნობილი ყველა დანარჩენისთვის. რასაკვირველია, წარუმატებლობის შემთხვევაში სჯიან მწვრთნელებს და არა მწვრთნელთა საბჭოს. მაგრამ, ხაზგასმით აღვნიშნავ, მისი მეგობრული დახმარებისა და მაღალკვალიფიციური კონსულტაციის გარეშე შეუძლებელია ნაკრების მწვრთნელთა ნაყოფიერი მუშაობა.

**● მკითხველებს მიაჩნიათ, რომ ნაკრებში მეტისმეტად ხშირად ტარდებოდა ექსპერიმენტები შემადგენლობის დასადგენად. საჭიროა თუ არა ასეთი ექსპერიმენტები?**

— ექსპერიმენტები, თუ გნებავთ, მწვრთნელის ძიების შემოქმედებით მიმართულებას გამოხატავენ. მე ექსპერიმენტების მომხრე ვარ. ისინი საშუალებას გვაძლევენ შევარჩიოთ თამაშის წარმართვისთვის ყველაზე უკეთესი ვარიანტები. მაგრამ უნდა იყო რეალისტი და, როგორც იტყვიან, მიწას არ მოსწყდე. ნაკრებს ფართო ექსპერიმენტების დრო არა აქვს. და ეს არცაა მისი მიზანი.

დიახ, ჩვენ ჩავატარებთ ექსპერიმენტებს შემადგენლობის დასადგენად. მაგრამ ეს მოხდება ადრეულ სტადიაში, როცა საჭიროა ნაკრების ახალგაზრდა კანდიდატების შესაძლებლობათა განსაზღვრა, მისი უახლესი რეზერვის განსაზღვრა. ძირითადად კი ტაქტიკის თვალსაზრისით ჩავატარებთ ცდებს: შევცვლით ტაქტიკური კომბინაციიების მიმართულებას, ახალ ელემენტებს შევიტანთ მათში, შევქმნით ახალ კომბინაციებს. მაგრამ ნაკრებს არ შეუძლია უარი თქვას იმაზეც, რაც გენერალური გეგმითაა გათვალისწინებული, რაც გუნდის ხელწერასა და ძალას განსაზღვრავს: თამაშის ტემპის, ტაქტიკური დისციპლინისა და ტაქტიკური ხაზის წარმართვის პრინციპებზე, ეს მუდმივი კომპონენტები უნდა იყოს.

**● წერილების ერთ-ერთ მიმოხილვაში, რომელიც გაზეთმა გამოაქვეყნა, მკითხველები მიუთითებდნენ, რომ იტალიის ნაკრების მწვრთნელს ჰქონდა შესაძლებლობა ოფიციალურ შეჯიბრებებში ორი თანაბარძალოვანი შემადგენლობით გამოსულიყო. აქვს თუ არა ასეთი შესაძლებლობა სსრ კავშირის ნაკრებს?**

— ორი თანაბარძალოვანი გუნდის შექმნის შესაძლებლობა ჯერ არასოდეს და არავის ჰქონია. არა მგონია, რომ ეს მოხდეს მომავალშიც. ჩვენ, როგორც ნაკრების ყველა მწვრთნელს, გვყავს ორი შემადგენლობა, რომლებიც ერთმანეთს ხვდებიან. ზოგჯერ პირველი ნაკრები უფრო ხშირად აგებს მეორესთან, ვიდრე საჭიროა. მაგრამ უფრო ძლიერია თუ არა ამის გამო მეორე გუნდი? დიდი სპეციალისტის სახელი არაა საჭირო, რომ ამ შეკითხვას უარყოფითად უპასუხო. სხვაა სტიმული, სხვაა ინტერესი.

მე რამდენიმე თვის მანძილზე ბრაზილიაში მომიხდა ცხოვრება. იქ ვეცნობოდი ფეხბურთს, რომელმაც მსოფლიოს მისცა ბურთის ჯადოქრები, მსოფლიოს ორგზის ჩემპიონები. მე ვნახე ამ ქვეყნის ოთხი ნაკრების თამაში. ოთხივე კარგი გუნდი იყო. მაგრამ როცა ამ მოთამაშეებიდან უკეთესების შერჩევაზე მიდგა საქმე და პირველი ნაკრები ჩამოყალიბდა, დავრწმუნდი, რომ იმ ოთხთან მისი შედარება არ შეიძლებოდა.



**● როგორია ნაკრების უახლოესი გეგმები?**

— 1 თებერვალს ნაკრების კანდიდატები საწვრთნელ შეკრებას ჩაატარებენ სოხუმში. თვის შუა რიცხვებში ვაპირებთ ტურნეს სამხრეთ ამერიკაში, სადაც რამდენიმე საკონტროლო თამაშს ჩავატარებთ ფეხბურთის სხვადასხვა მიმდინარეობის წარმომადგენლებთან. შეცდომა იქნება იმის ფიქრი, რომ ყველა სამხრეთამერიკული გუნდი ერთ ყაიდაზე — ბრაზილიურად თამაშობს.

ამ მოგზაურობისთვის კანდიდატები უკვე შევარჩიეთ. ესენი არიან: მეკარეები — პშენიჩნიკოვი (ცსკა), დეგტიარიოვი („მატტორი“), კირიჩენკო (კიევის „დინამო“); მინდვრის მოთამაშეები — პონომარიოვი, შესტერნიოვი და კაპლიჩნი (ცსკა), ძოძუაშვილი, ხურცილავა და მეტრეველი (თბილისის „დინამო“), სმირნოვი (მოსკოვის „დინამო“), ლისენკო („ჩერნომორეცი“), იანეცი, ჩუმაკოვი და გერშკოვიჩი (მოსკოვის „ტორპედო“), ბუნტიანი, ბიშოვეცი, პუშაჩი და ხმელნიცკი (კიევის „დინამო“), სახაროვი (მინსკის „დინამო“), კისელიოვი (მოსკოვის „სპარტაკი“), ესკოვი (როსტოვის ასკ) და ამდურაიმოვი („პახტაკორი“).

კანდიდატთა შორის არ არიან რიგი მოთამაშეები, რომელთაც შარშანდელ სეზონში კარგად ითამაშეს ნაკრების შემადგენლობაში. ჩვენ მათ კარგად ვიცნობთ, ვიცით, რომ საზღვარგარეთ თავიანთ კლუბებთან ერთად მოგზაურობის დროს ისინი სათანადო წრთობას მიიღებენ და საჭირო მომენტში სსრ კავშირის ნაკრებს შეუერთდებიან.

**საუბარი ჩაიწერა სპორტის ოსტატმა ა. ლეონტიევმა.**

**(„სოვეტსკი სპორტი“, № 297).**

* * *

**სურათზე: სლავა მეტრეველი იერიშის დროს.**

**ფოტო მ. ზარგარიანისა.**

## გული მაინც ვერ გაძღა

**ნახეთ: საინტერესო ფილმია!**

ფეხბურთელთა VIII მსოფლიო ჩემპიონატის დამთავრებიდან ორ წელზე მეტი გავიდა, მაგრამ ამ საინტერესო ახპარეზობისადმი ინტერესი თითქოს არც განელებულა. მიუხედავად იმისა, რომ მომავალი ჩემპიონატის შესარჩევი თამაშები უკვე კარგა ხანია მიმდინარეობს, ინგლისის სტადიონებზე გამართული ბატალიები დღესაც ცოცხლობს ფეხბურთის მოყვარულთა მეხსიერებაში.

და აი, ეკრანზე კვლავ ვიხილეთ ის, რაც სამუდამოდ ჩაიბეჭდა ჩვენს გონებაში: ფეხბურთის ჯადოქარი პელე, ვირტუოზი ეუსებიო, დაულალავი ბობი ჩარლტონი, სპორტის ამ. სახეობის კიდევ ბევრი უბადლო ოსტატი...

ახალი ინგლისური ფილმი — „დავა ოქროს ქალღმერთისთვის“ იწყება მონაწილე გუნდების ლონდონში ჩასვლით. ინგლისის დედაქალაქის აეროდრომზე ერთმანეთის მიყოლებით ჯდებიან საჰაერო ლაინერები. თვითმფრინავების ტრაპიდან ჩამოდიან ბრაზილიის, ჩილის, არგენტინის, ურუგვაის, სსრ კავშირისა და სხვა სახელმწიფოთა გამოჩენილი ფეხბურთელები.

მთავარი მაინც წინ არის — კალენდარული მატჩები. და აქ დიდი ოსტატობითაა გადმოცემული ყველა ის საინტერესო დეტალი, რაც ახასიათებდა ლონდონის ჩემპიონატს და რისი ნახვის შესაძლებლობაც ჩვენ, ტელემაყურებლებს, მაშინ არ გვქონდა. მატჩების მსვლელობა დიდი გემოვნებით გადაუღიათ ოპერატორებს. აქ ხაზგასმითაა ნაჩვენები, თუ როგორ უმოწყალოდ „გაუმასპინძლდნენ“ პელეს მეტოქეები, ეუსებიოს ცრემლები წაგებული მატჩის შემდეგ, ინგლისისა და გფრ-ის გუნდების საფინალო მატჩში ინგლისელთა მიერ გატანილი იმ სადავო ბურთის გამო ამტყდარი ამბები, ერთი შეხედვით, დინჯი, მაგრამ საყვარელი გუნდისთვის გონებადაკარგულ ინგლისელ გულშემატკივართა განცდები.

„დავა ოქროს ქალღმერთისთვის“ საინტერესო ფილმია და როცა ეკრანზე გამოჩნდება წარწერა „დასასრული“, გული გწყდება. კიდევ გსურს დიდხანს უყურო ფეხბურთელთა ამ დიდ პაექრობას.

**ზ. დაშნიანი.**

სსრ კავშირის ჩემპიონატები კალათბურთში

# დამსახურებული რევანში

თბილისი. სპორტის სახახლე. 21 დეკემბერი.

„ბურევესტნიკი“ (თბილისი) — „ყალგირისი“ (კაუნასი) 63:76 (25:43).

„ბურევესტნიკი“: კოვალენკო (22), ჯუღელი (9), ლეფავა (8), ლომაძე (7), გლურჯიძე (6), ჩხიკვაძე (6), მანგაძე (5), ბიჭიაშვილი.

„ყალგირისი“: პაულაუსკასი (27), გედრაიტისი (14), რუზგასი (12), კაზიუნასი (11), ვენზბერგასი (8), ბუდნიკასი (4), ეუკაუსკასი, ჩუპკოვასი.

მსაჯები: ვ. ბაბუშკინი (ხარკოვი) და ვ. ტიჩინინი (ლუგანსკი).

ამ გუნდების მეორე მატჩი დასაწყისში საოცრად ჰგავდა პირველ შეხვედრას — თამაშის პირველი წუთები ახლაც დაზვერვას მოუნდა. ვერც ერთმა მხარემ საგრძნობლად დაწინაურება ვერ მოახერხა: 15 წუთი ისე ამოიწურა, რომ ანგარიში ტაბლოზე საყაიმო იყო — 25:25. შესვენებამდე დარჩენილ დროში თბილისელებმა ქულაც კი ვერ ჩაიწერეს აქტივში. როგორც ჩანს, წინადღით გადატანილმა დაძაბულმა ბრძოლამ დიდი ენერგია წაიღო. მასპინძლები ზედმეტად ჩქარობდნენ და უზუსტოდ ბომბავდნენ კალათს. კოვალენკოს უდიდესი ჯაფა აწვა ორივე ფართან, მაგრამ „ორ ფრონტზე“ ბრძოლას იგი ფიზიკურად ვერ ასწრებდა.

„ყალგირისი“ ამ დღეს კარგად შეკრული ანსამბლი იყო. მისი ლიდერი პაულაუსკასი ბრწყინვალედ ტყორცნიდა და თანაგუნდელებსაც ხელს უწყობდა თამაშის მაღალი კლასის გამოვლინებაში.

შესვენების შემდეგ მასპინძლებმა თითქოს აიწყვეს თამაში და ანგარიშში სხვაობაც შემცირდა, მაგრამ მხოლოდ დროებით. სტუმრებმა ბოლომდე არ დათმეს ინიციატივა და რევანში აიღეს წინადღით წაგებული მატჩისთვის.

ა. მხეიძე.

## სხვა შეხვედრები

გაიმართა VIII ტურის მატჩები.

**ლენინგრადი.** ადგილობრივმა „სპარტაკმა“ მეორე მატჩიც მოუგო კიევის ასკ-ს (65:61) და გაუთანაბრდა ლიდერებს.

**კიევი.** „სტროიტელი“ შინ დამაჯერებლად თამაშობს. ამ ტურში უკრაინელმა კალათბურთელებმა დაამარცხეს რიგის ვეფ-ი — 65:57.

**ალმა-ათა.** სატურნირო ცხრილში ბოლოსდაბოლოს პირველი ქულა ჩაიწერეს რიგის არმიელებმაც, რომლებმაც განმეორებითი შეხვედრა მოუგეს ადგილობრივ „ლოკომოტივს“ — 60:51.

## გათამაშების ცხრილი

მდგომარეობა 24 დეკემბრისთვის

| | თ. | მ. | წ. | ბ. | ქ. |
|---|---|---|---|---|---|
| ცსკა | 6 | 6 | 0 | 464—402 | 6 |
| „ყალგირისი“ (კაუნასი) | 8 | 6 | 2 | 590—547 | 6 |
| „სპარტაკი“ (ლენინგრადი) | 8 | 6 | 2 | 572—530 | 6 |
| „დინამო“ (თბილისი) | 8 | 6 | 2 | 588—569 | 6 |
| „სტროიტელი“ (კიევი) | 8 | 5 | 3 | 549—528 | 5 |
| ასკ (კიევი) | 8 | 5 | 3 | 524—510 | 5 |
| ვეფ (რიგა) | 8 | 3 | 5 | 538—527 | 3 |
| „დინამო“ (მოსკოვი) | 8 | 3 | 5 | 520—511 | 3 |
| „ბურევესტნიკი“ (თბილისი) | 8 | 3 | 5 | 491—524 | 3 |
| „კალევი“ (ტარტუ) | 6 | 1 | 5 | 416—464 | 1 |
| ასკ (რიგა) | 8 | 1 | 7 | 542—594 | 1 |
| „ლოკომოტივი“ (ალმა-ათა) | 8 | 1 | 7 | 575—663 | 1 |

## პირველი ტური

**მოსკოვი, 22 დეკემბერი.** დღეს აქ გათამაშდა კალათბურთელ ქალთა XXXVI საკავშირო ჩემპიონატის I ტური. ყურადღების ცენტრში იყო საქართველოს პოლიტექნიკური ინსტიტუტისა და კიევის დინამოელთა შეხვედრა. ტბილისელებმა 4 ქულის უპირატესობით მოიგეს — 26:22. სტუდენტების უპირატესობით აღინიშნა მატჩის მეორე ნახევარიც. გამარჯვეს თბილისელებმა — 55:46.

დაძაბული ბრძოლა გაჩაღდა მოსკოვის ოლქის „სპარტაკისა“ და მოსკოვის „დინამოს“ შეხვედრაში. იმარჯვეს სპარტაკელებმა — 62:58 (30:26).

**ნოვოსიბირსკი, 22 დეკემბერი.** აქ გაიმართა საკავშირო ჩემპიონატის სხვა 3 მატჩი: „კიბერნეტიკი“ (ვილნიუსი) — ასკ (ლენინგრადი) 61:33 (33:15), „ურალმაში“ (სვერდლოვსკი) — „დინამო“ (ნოვოსიბირსკი) 61:44 (36:23), ტტტ (რიგა) — უსკ (ტარტუ) 82:58 (42:29).

◆ **ჰამბარი, 23 დეკემბერი.** მოციგურავეთა აქ გამართულ საერთაშორისო შეჯიბრებაში 500-მეტრიან დისტანციაზე წლეულს მსოფლიოში საუკეთესო შედეგს მიაღწია მასპინძელმა — ახალგაზრდა ნორვეგიელმა არნე ხერიუაუნემ — 40,6 წამი. ოლიმპიური სეზონის გმირი ფრედ-ანტონ მაიერი კვლავ საუცხოო ფორმაშია (ამ შესანიშნავმა მოციგურავემ განაცხადა — სპორტს თავს ვანებებო). 5000 მეტრზე რბენაში მან ... ... ... — 7.07,8 მ-ს დად უპირატესობაზე ისიც მეტყველებს, რომ II ადგილზე გასული რ. გრენვოლდის დროა 7.40,8.




## საფეხბურთო მინდვრებზე

**ბონი, 23 დეკემბერი.** გფრ-ში სტუმრად მყოფმა მოსკოვის „ტორპედომ“ თავისი ტურნეს პირველ მატჩში ანგარიშით 1:0 დაამარცხა „ფკ საარბრიუკენი“. ბურთი 37-ე წუთზე 11-მეტრიანი საჯარიმო დარტყმით გაიტანა ლენიოვმა.

**მეხიკო, 23 დეკემბერი.** მსოფლიო ჩემპიონატის ვერცხლის პრიზიორმა — გფრ-ის ნაკრებმა აქ ფრედ (0:0) ითამაშა მომავალი მსოფლიო ჩემპიონატის მასპინძლებთან — მექსიკელებთან. „აცტეკის“ სტადიონზე გამართულ მატჩს 70 ათასი მაყურებელი დაესწრო.

**პარამარიბო, 23 დეკემბერი.** მსოფლიო ჩემპიონატის შესარჩევ მატჩში სურინამის ნაკრებმა დაამარცხა სალვადორელები — 4:1. სალვადორის ნაკრებისთვის ამ შეხვედრას მნიშვნელობა არ ჰქონდა, ვინაიდან ამ ქვეყნის გუნდმა — ჯგუფში გამარჯვებულმა — უკვე გაიანდა ადგილი ფინალში.

**ტეგუსიგალპა, 23 დეკემბერი.** მსოფლიო ჩემპიონატის შესარჩევ მატჩში გონდურასის გუნდმა დაამარცხა კოსტა-რიკის წარმომადგენლები — 1:0. ბურთი 32-ე წუთზე გაიტანა ჩულა რომესმა.

**ტრიპოლი, 23 დეკემბერი.** ამხანაგური შეხვედრების ჩასატარებლად აქ ჩამოვიდა დონეცკის „შახტიორი“.

# სამოცი წლისაა

ალბათ წაგიკითხავთ სალო ფლორის წერილები ჭადრაკსა და მოჭადრაკეებზე. ეს წერილები გვხიბლავენ გონებამახვილური, კვიმატი სიტყვით და მოხდენილი შედარებებით. ფლორმა იცის, როგორ მოინადიროს მკითხველის გული.

— როგორ გახდით მოჭადრაკე? — ვკითხე ერთხელ.

— გავბრაზდი და გავხდი. ბავშვი ვიყავი, დიდის ვაივაგლახით მივიღე გერმანელი ოსტატის ზემოშის ერთდროული „თვალხუჭულა“ თამაშის სეანსში მონაწილეობის ნებართვა. ყველაზე ადრე მე წავაგე, ისიც მაშინ, როცა ჩემი პოზიცია მოგებული მეგონა. ღამეებს ვათენებდი დარდით. შურისძიების სურვილი მკლავდა. რვა წლის შემდეგ ზემოშს „სამგიერო“ გადავუხადე და ასე შევრჩი ჭადრაკს.

— ჟურნალისტობა როგორღა დაიწყეთ?

— ესეც ჭადრაკის ბრალია. პრაღის გაზეთმა, სადაც მე ვმუშაობდი, ოსტატთა ტურნირზე გამგზავნა რეპორტაჟებისთვის. წერილები მოიწონეს და ახლა ჟურნალისტიკას შევრჩი.

და აი, 40 წელია ჭადრაკსა და ჟურნალისტიკას „შერჩენილი“ კაცი თავდადებულად ემსახურება საყვარელ საქმეს. ს. ფლორმა ცხოვრების დიდი და სახელოვანი გზა განვლო. იგი ჭეშმარიტად ცოცხალი მატიანეა, ბევრი დიდი ამბის მოწმე და მონაწილე.

30-ან წლებში ს. ფლორი დედამიწის უძლიერეს დიდოსტატად აღიარეს. ამიტომ იყო, რომ მსოფლიო ჩემპიონმა ა. ალიოხინმა მას მსოფლიო პირველობისთვის მატჩზე დაუდო ხელშეკრულება. მაგრამ შეხვედრა არ შედგა, რადგან ფაშისტურმა გერმანიამ პრეტენდენტის



სამშობლოს — ჩეხოსლოვაკიის ტერიტორია დაიკავა.

ჩვენს ქვეყანაში ფლორი პირველად 1933 წელს ჩამოვიდა მ. ბოტვინიკთან მატჩის სათამაშოდ (ეს შეხვედრა დამთავრდა ფრედ — 6:6). იგი მონაწილეობდა მოსკოვის II და III საერთაშორისო ტურნირებში (1935-36 წწ.) და 1939 წელს — სავარჯიშო (საერთაშორისო) ტურნირში. ყველა ამ შეჯიბრებაში წარმატებით თამაშობდა.

— როგორც საბჭოთა მოქალაქე, თბილისში „დავიბადე“ 1942 წელს, — ამბობს დიდოსტატი. — საქართველომ შემიკედლა ომის მრისხანე წლებში. მიყვარს თბილისი და მისი მკვიდრნი. წელი არ გავა, რამდენიმეჯერ არ ჩამოვაკითხო მეგობრებს.

როგორც საბჭოთა დიდოსტატს ფლორს ბევრ ტურნირში უსახელებია თავი. 50-ანი წლებიდან იგი შედარებით იშვიათად თამაშობს, სამაგიეროდ, საჭადრაკო ჟურნალისტიკას ემსახურება. იგი ბევრს მოგზაურობს, ბევრს წერს, მილიონობით მკითხველს აყვარებს ჭადრაკს.

ბოლო წლებში ფლორმა დიდი ტურნირების მსაჯობაც დაიწყო. მსოფლიო პირველობის პრეტენდენტთა უკანასკნელი ტურნირები თუ მატჩები ამ ღვაწლმოსილი მოჭადრაკის „დირიჟორობით“ მიმდინარეობს. გაიხსენეთ მისი მთავარი არბიტრობა თბილისში 1966 წელს, მ. ტალ—ბ. სპასკის მატჩში, ან სულ ახლახან კიევში — მ. ტალ — ვ. კორჩნოის შეხვედრაში.

— მემუარებს რატომ არ წერთ? თქვენ ხომ ბევრ დიდ მოჭადრაკეს მეგობრობდით — ალიოხინს, ლასკერს, კაპაბლანკას, — ვკითხე ფლორს.

— დრო არ მრჩება. ჟურნალ-გაზეთებში თანამშრომლობასა და მსაჯობას ბევრი დრო მიაქვს. მემუარები კი მართლაც აუცილებელია. ყველა როდი იცნობდა, მაგალითად, ალიოხინს. ალექსანდრე კოტოვმა ისე დაწერა ალიოხინზე წიგნი — რომანი „თეთრები და შავები“, რომ მსოფლიო ჩემპიონი თვალითაც არ უნახავს. ამიტომ რომანი სავსეა „ზღაპრებით“.

— ანდა, რა დროს ჩემი მემუარებია, — ხუმრა მერე დიდოსტატმა, — მე ხომ მხოლოდ 1942 წელს „დავიბადე“.

60 წლის სალო ფლორი ახლაც სიცოცხლით სავსე, ენერგიული და დაუზარელია. საწერი არასოდეს ელევა. საჭადრაკო ცხოვრება, მით უმეტეს, დღეს, დიდი ძალით ფეთქავს და ფლორიც მუდამ წინა ხაზზეა.

თ. გიორგაძე.

# საკავშირო საგზურებისთვის



ორ კვირაზე მეტს გაგრძელდა თბილისის ცენტრალური საჭადრაკო კლუბში დედაქალაქის მოსწავლეთა 1969 წლის საჭადრაკო ჩემპიონატი. შეჯიბრება შერჩევითი ხასიათისა იყო, ვინაიდან 2-2 ჭაბუკსა და გოგონას საკავშირო პირველობის საგზური უნდა მიეღო. ტურნირში მონაწილეობდნენ რესპუბლიკის რაიონების წარმომადგენლებიც.

შეჯიბრება შვეიცარიული სისტემით ჩატარდა (ჭაბუკებისთვის 10 ტური, გოგონებისთვის — 8).

ჭაბუკებიდან ტურნირი დაუმარცხებლად დამთავრა მე-4 სკოლის მეცხრეკლასელმა ვ. ვეფხიშვილმა, რომელმაც 8,5 ქულა დაგროვა და შეინარჩუნა დედაქალაქის ჩემპიონობა. 8-8 ქულით II-III ადგილები გაიყვეს მე-16 სკოლის მეცხრეკლასელმა თ. გრძელიშვილმა და 27-ე სკოლის მეათეკლასელმა მ. აივაზიშვილმა, მაგრამ კოეფიციენტების ცხრილით II ადგილი გრძელიშვილმა დაისაკუთრა. ჩემპიონისა და ფიცე-ჩემპიონის მწვრთნელია შ. ინწკირველი, ხოლო აივაზიშვილისა — სსრ კავშირის დამსახურებული მწვრთნელი მ. შიშოვი და სპორტის ოსტატი ა. ბუსლაევი.

გოგონებში თავი ისახელა 1968 წლის საკავშირო ჩემპიონატში უმცროსი ასაკის მოსწავლეთა შორის (1953-54-55 წლებში დაბადებულნი) გამარჯვებულმა, მე-15 სკოლის მეცხრეკლასელმა ნ. ბაღაშვილმა — 7 ქულა. 6,5 ქულით II ადგილზე გავიდა 22-ე სკოლის მეცხრეკლასელი თ. კაჭარავა. დიდი წარმატება ხვდა წილად მე-14 სკოლის მეხუთეკლასელს მ. წერეთელს, რომელმაც 6 ქულით III ადგილი დაიკავა. აღსანიშნავია, რომ 10 წლის გოგონამ ამას წინათ უფლება მოიხვეჭა დედაქალაქის 1969 წლის ჩემპიონატში ქალთა შორის იასპარეზოს, რაც უპრეცედენტო შემთხვევაა. ამ ტურნირში მზიამ I თანრიგის ნორმატივი შეასრულა. ბაღაშვილისა და წერეთლის აღმზრდელია შ. ინწკირველი, კაჭარავასი — მ. შიშოვი.

ა. ცეხანელი.

* * *

სურათზე: დედაქალაქის სამგზის ჩემპიონი ჭაბუკთა შორის ვ. ვეფხიშვილი.

ფოტო თ. ჩხაიძისა.

# ქალი ქვეყანა

● *ბორჯომი, 22 დეკემბერი.* აქ დაიწყო რსფსრ-ს ქალაქების ტრადიციული შეჯიბრება ციგურებით სწრაფრბენაში. დამთავრდა ვაჟთა შეჯიბრება. 500 მეტრზე გაიმარჯვა ვ. ბურატოვმა — 41,5, 5000 მეტრზე — ა. მოსკოვმა (7.58,7), 1500 მეტრზე — ვ. კაპლანმა (2.11,3), 10000 მეტრზე — ვ. ლავრუშკინმა (16.05,5). მრავალჯიდში საპრიზო ადგილები ასე განაწილდა: კაპლანი — 183,956 ქულა, ლავრუშკინი — 185,228, ი. მალიხინი — 186,433. წინ ქალების შეჯიბრებაა.

● **ბელგრადი,** 23 დეკემბერი. გაიმართა წყალბურთში ევროპის ქვეყნების ჩემპიონთა თასის გათამაშების პირველი ნახევარფინალური მატჩები, რომლებმაც ასეთი შედეგები მოგვცა: „პარტიზანი“ (ბელგრადი) — „დინამო“ (მოსკოვი) 6:3, „მლადოსტი“ (ზაგრები) — „დინამო“ (მაგდებურგი) 3:1. ამ გუნდების განმეორებითი შეხვედრები — გაისად, 11 იანვარს.

# ბ. სელიცკის მსოფლიო რეკორდი

ალმა-ათაში გუწინწინ დამთავრდა ძალოსანთა გუნდური საკავშირო პირველობა.

მჩატე წონის ძალოსანთა შედეგებზე უკვე ვიუწყიბოდით. გაგაცნობთ დანარჩენ წონით კატეგორიებში გამარჯვებულებს: ქვემსუბუქი წონა — ე. ქარიმოვი (360 კგ), მსუბუქი — ნ. ნოგაიცევი (420), ქვესაშუალო — ს. ვორობცოვი (420), საშუალო — ბ. სელიცკი (487,5), ქვემძიმე — ა. კიდიაევი (485), მძიმე — ნ. იაშჩონკი (505), ზემძიმე — გ. რიაბოკონი (540).

გუნდურ ჩათვლაში გაიმარჯვეს შეიარაღებული ძალების ძალოსნებმა. სელიცკის მიერ ნაჩვენები შედეგი — 487,5 კგ მსოფლიოს ახალი რეკორდია და წინანდელს 2,5 კგ-ით აღემატება.

**საქართველოს ფიზიკულტურის ინსტიტუტი** აცხადებს ასპირანტურაში მიღებას 1968-69 სასწავლო წლისთვის წარმოებიდან მოწყვეტით შემდეგ სპეციალობაზე:

**ფიზიკური აღზრდის თეორია და მეთოდიკა** (1 ადგილი).

ასპირანტურაში მიიღებიან სსრ კავშირის მოქალაქენი, შესაბამისად სსრ კავშირის უმაღლესი და საშუალო სპეციალური განათლების სამინისტროს მიერ დამტკიცებული დებულებისა ასპირანტურის შესახებ.

საბუთების მიღება ყოველდღე, ამ განცხადების გამოქვეყნებიდან 20 დღის განმავლობაში.

დაწვრილებითი ცნობების მიღება შეიძლება ინსტიტუტის სამეცნიერო ნაწილში. მისამართი: თბილისი, ჭავჭავაძის პრ. № 49. ტელეფონი 22-24-49.

თბილისის განათლების განყოფილების კალათბურთელ გოგონათა გუნდი მწუხარებით იუწყება თავისი წევრის

**რუსუდან შოთას ასულ ხეთაგიშვილის**

გარდაცვალებას და თანაგრძნობას უცხადებს განსვენებულის ოჯახს.

**ИНДЕКС 66448** საქართველოს კპ ცენტრალური კომიტეტის გამომცემლობის სტამბა. ლენინის ქ. № 14. 8 უე 12094

**რედაქტორი მ. კაკაბაძე.**